



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030423069670613

№ 04-463/ო

25 / ნოემბერი / 2013 წ.

2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 61-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის 22 ნოემბრის N01/104815 (N04/104518, 21.11.2013 წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4

მუხლის საფუძველზე,

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

### 1. დამტკიცდეს:

ა) „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ საანგარიშო პერიოდში სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში წარმოსადგენი ანგარიშგების ფორმები (დანართი N1-21);

ბ) „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ ფარგლებში, საანგარიშგებო დოკუმენტაციის (შემთხვევათა რეესტრი) შევსების ინსტრუქცია (დანართი N22).

2. ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართების (დანართი N1-21) მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლის მიერ საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს 2013 წლის 1 ნოემბრიდან გაწეულ სამედიცინო მომსახურებაზე.

### 3. დაევალოთ:

ა) სააგენტოს სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტს, სააგენტოს რეგიონალურ საკოორდინაციო ცენტრებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართების გაცნობა შესაბამისი მიმწოდებლებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენა საანგარიშო პერიოდში წარმოსადგენი ანგარიშგების შესაბამისი ფორმ(ებ)ის შევსებასთან დაკავშირებით;

ბ) ადმინისტრაციას (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე – [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge).

4. სააგენტოს 2011 წლის 30 აპრილის N04-80/ო ბრძანებით დამტკიცებული ანგარიშგების ფორმები გამოყენებულ იქნეს 2013 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული სამედიცინო მომსახურების ანგარიშგებისათვის, საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენის სამთვიანი ვადის გათვალისწინებით, აგრეთვე, 2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სადავოდ კვალიფიცირებულ და დადებითად გადაწყვეტილ შემთხვევებზე ანგარიშგებისათვის.

5. ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვად(ებ)ის ამოწურვისთანავე, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სააგენტოს 2011 წლის 30 აპრილის N04-80/ო ბრძანება „ანგარიშგების ფორმის დამტკიცების შესახებ“.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს დირექტორის მოადგილემ, კახა ხელაძემ.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. ქინქლაძე